პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 187 (11798)
შაბათი, 13 აგვისტო 1960 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

დასავლეთგერმანელი მუშის გ. შმიდის წერილზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე მიმართული იქნა დასავლეთგერმანელი მუშის გერმან შმიდის წერილი, რომელსაც დართული ჰქონდა ნიურნბერგ—ფიურტის რაიონის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) 820 მოქალაქის მემორანდუმი სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურებისადმი გაწიარაღების, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და ევროპაში უატომო ზონის შექმნის საკითხზე.

ნ. ს. ხრუშჩოვმა 6 აგვისტოს პასუხი გაუგზავნა გ. შმიდს.

ქვემოთ ქვეყნდება ნ. ს. ხრუშჩოვის საპასუხო წერილის ტექსტი, აგრეთვე გ. შმიდის წერილი და ნიურნბერგ-ფიურტის რაიონის მცხოვრებთა მემორანდუმი.

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი შმიდს

პატივცემულო ამხანაგო გერმან შმიდ,

მე ყურადღებით გავეცანი თქვენს წერილს და ნიურნბერგ-ფიურტის რაიონის 820 მოქალაქის მემორანდუმს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურებისადმი.

საბჭოთა ადამიანებისათვის მახლობელი და გასაგებია თქვენი სურვილი — მიღწეულ იქნას საყოველთაო კონტროლდაკვანძებული განიარაღება. მშრომელები ყველაზე მეტად იტანჯებიან ომებისა და გამლეტელი შეიარაღებისაგან. ამიტომ მშრომელთა მისწრაფება მშვიდობიანი და განიარაღებისადმი ინტერნაციონალურია და ეკი მუშათა და გლეხთა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს.

საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა, რომელიც სსრ კავშირის მთავრობამ წამოაყენა, სავსებით ნათელია. ჩვენ მზად ვართ ყოველ მომენტში დავალოთ ჩვენი შეიარაღებული ძალები და ოსტატთა მთელი შეიარაღება იმ პირობით, რომ ამასვე იზამენ სხვა სახელმწიფოები. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ აიკრძალოს და შეიარაღებიდან ამოღებულ იქნას მასობრივი მოსახლეობის ყველა სახეობის იარაღი. ჩვენ წინააღდეგები ვიძლევით გაყვანილ იქნას უცხოეთის ჯარები სხვისი ტერიტორიებიდან, მათ შორის გერმანიიდან, და ყველგან ლიკვიდირებულ იქნას უცხოელთა სამხედრო ბაზები. ჩვენ მხარს ვუჭერდით და კვლავაც დავუჭერთ მხარს ყველი სხვა წინადადების განხორციელებას, რომელსაც ომის საფრთხის შემცირებისაკენ მივყავართ. მე გეთანხმებით იმაში, რომ ევროპაში „უატომო ზონის“ შექმნა, რომლის მონაწილეც ორივე გერმანული სახელმწიფო იქნებოდა, შესაძლოა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდეს ამ მიმართულებით.

მაგრამ ჯერჯერობით მთელმა ჩვენმა ღონისძიებებმა — მიღწეულ იქნას განიარაღება ჯეროვანი გაგება ვერ ჰპოვა დასავლეთის ხელმძღვანელებში. ჩანს, კაპიტალისტურ სამყაროს არა აქვს თავისი ძალების რწმენა, გრძნობს, რომ სოციალიზმთან მშვიდობიანი შეჯიბრების უნარი არ შესწევს და მას აშინებს განიარაღების შესაძლებლობა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და სამხედრო ბლოკებში მათს მოკავშირეებს არ შეუძლიათ აღიარად თქვან ეს და, განიარაღებაზე საუბრობენ თავი რომ აარიდონ, ყოველგვარ მიკიბ-მოკიბვას მიმართავენ, რათა ომ დაუშვან განიარაღება.

თქვენ მოუწოდებთ დიდ სახელმწიფოებს დაიწყონ მოლაპარაკება გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ბერლინის საკითხის გადაჭრას და გერმანიის გაერთიანებისათვის გზის გაკაფვას. ამასვე ეჩიჩინებ ერთ ეკონომ ხელშეკრულებას, რომელიც მტკიცედ მოითხოვს საზავო ხელშეკრულების გადაუდებლად დადებას და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის საკითხის მოწესრიგებას.

დიდი ხანია დროა ბოლო მოეღოს ომისშემდგომ მოუწესრიგებლობას ევროპაში, მტკიცე საძირკველი ჩაეყაროს ევროპის მშვიდობის შენობას. საზავო ხელშეკრულების უქონლობამ არაჯანსაღი დაღი დაადვა გერმანიის მთელ ომისშემდგომ განვითარებას. თავის დროზე რომ დადებულიყო ხათანადო საზავო ხელშეკრულება, დარწმუნებული შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის მოწაწყალნი მილიტარიზმი ვეღარ იპარაშებდა და არ იქნებოდა მასთან დაკავშირებული საომარი მზადება ნატოს ბლოკი. გერმანელი ხალხს შეეძლებოდა მშვიდად და მეტი რწმენით ეცქირა მომავლისათვის.

ამჟამად, როცა გერმანიაში ორი სუვერენული სახელმწიფო არსებობს, მხოლოდ მათთან საზავო ხელშეკრულებით შეიძლება გაიდოს ბიდი ქვეყნის გაერთიანებისაკენ. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ამჟამად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მოპირდაპირე მიმართულებებით ვითარდებიან. თუ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მთავრობის მოღვაწეობის მთავარი მიზანია მშვიდობა, დემოკრატია და სოციალიზმია, ელბის დასავლეთით მმართველი ძალების პოლიტიკა სულ უფრო მეტად ემყარება რევანშიზმსა და მილიტარიზმს.

საზავო ხელშეკრულება შექმნიდა გერმანიის მშვიდობისმოყვარული გზით განვითარების გარკვეულ გარანტიებს, ბოლოს გადაუდობავდა გერმანიის მილიტარიზმს, რომელსაც წარსულში არაერთხელ შთაუგდია გერმანელი ხალხი, და მთელი ევროპაც, სისხლისმღვრელი ომების მორევში. დასავლეთი ბერლინი „საფრონტო ქალაქიდან“ საერთო-გერმანული თანამშრომლობის მოგვარების ფუნქტი გახდებოდა. გერმანიასთან საზავო მოწესრიგება ხელს შეუწყობდა გერმანელ ხალხსა და სხვა ქვეყნების ხალხებს შორის კარგი, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას.

თქვენ იწერებით, რომ ხალხები დიდ იმედებს ამყარებდნენ პარიზში ოთხი არც შეიძლება ჰქონდეს უფრო მაღალი მიზანი, ვიდრე ის, რომ ემსახურებოდეს მშვიდობის საქმეს. საბჭოთა კავშირი ყველაზე მტკიცედ იბრძოლებს მშვიდობისათვის, ყველა ხალხის, დიდი და მცირე ხალხების ინტერესების დასაცავად. ამასთან ერთად არ შეიძლება გვეჭიროს წინააღმდეგობის გაუწევლობის პოზიცია იმპერიალისტური ძალების საშიში ხრიკების წინაშე. არ შეიძლება დავანებოთ აგრესორებს დაუსჯელად სჩადიოდნენ ბოროტებას, აწყობდნენ პროვოკაციებს, სადაც უნდა იყოს. თორემ აგრესორები გათავხედდებიან და შეიძლება მოხდეს გამოუსწორებელი უბედურება. ვფიქრობ, რომ თქვენ და თქვენი ამხანაგები დამეთანხმებით ამაში.

გისურვებთ თქვენ და ყველა თქვენს თანამოქალაქეს წარმატებებს ხალხთა შორის ურთიერთგაგებისათვის, მთელი გერმანიის მშვიდობიანი დემოკრატიული გზით განვითარებისათვის ბრძოლის საქმეში.

ღრმა პატივისცემით

ნ. ხრუშჩოვი.

1960 წ. 6 აგვისტო.

შმიდის წერილი ნ. ს. ხრუშჩოვისადმი

მის აღმატებულებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრემიერ-მინისტრს ნიკიტა ს. ხრუშჩოვს

თქვენო აღმატებულებავ!

ნება მიბოძეთ გადმოგცეთ ამასთან დართული მემორანდუმი, რომელიც უმაღლესი დონის კონფერენციასთან დაკავშირებით უნდა გადმოგცემოდათ თქვენ და სამი სხვა მონაწილე სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებს.

ამ მემორანდუმს, რომლის ხელმომწერნი მხარს უჭერენ მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფას საყოველთაო განიარაღების გზით, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მალე დადებასა და ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელებას უატომო ზონის შექმნის გზით, ხელი მოაწერა ნიურნბერგ-ფიურტის რაიონის 820 მოქალაქემ.

მე ვფიქრობ, რომ გადმოგცემთ ამ ხელმომწერი 820 მოქალაქის აზრს, თუ გამოვთქვამ ჩემს ულრმეს სინანულს იმის გამო, რომ უმაღლესი დონის კონფერენცია, რომელსაც მთელი კაცობრიობა დიდი იმედებით მოელოდა, არ შედგა.

ყოველი მშვიდობისმოყვარე ადამიანი ღრმა შეშფოთებით უყურებს შემდგომ პოლიტიკურ განვითარებას მსოფლიო ამბებში. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას პარიზის თათბირისათვის მომზადებული რომ ჰქონოდა რაიმე წინადადებანი, იგი, რა თქმა უნდა, შემოხვევას არ გაუშვებდა თუნდაც შემდეგ გაეცნო ისინი მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის. მეორე მხრივ, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პარიზის თათბირს შეეძლო სერიოზულად შესდგომოდა, როგორც წინადადებას იძლეოდა ამერიკის პრეზიდენტი, სსრ კავშირის და სხვა სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიის თავზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავების პროვოკაციული ფრენის დაკანონების საკითხის განხილვას.

ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია, რომელმაც გამოიწვია მთავრობების მეთაურთა პარიზის თათბირის ჩაშლა, საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებისათვის ნავარაუდეი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. განიარაღების საკითხზე ათთა კომიტეტის მუშაობის ჩაშლა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, ამერიკის თვითმფრინავ რბ-47-ის პროვოკაციული საჰაერო დივერსია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამერიკის მთავრობის განზრახვა განაახლოს ატომგულის იარაღის გამოცდა, კუბის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული აქტები და კონგოს წინააღმდეგ აგრესიისათვის ხელშეწყობა — ყოველივე ეს, რაც პარიზის თათბირის ჩაშლას მოჰყვა, მოწმობს იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები ჯიუტად ახორციელებენ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში დაძაბულობისა და ეჭვიანობის შენარჩუნების, გამალებული შეიარაღების გაგრძელებისა და ახალი ომის მომზადების ხაზს.

მაგრამ ნიშნავს თუ არა პარიზის თათბირის ჩაშლა, რომ ახლა აღარ არის მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების იმედი? რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის იდეებით ღრმად განიმსჭვალა მილიონობით ადამიანთა შეგნება. ომისა და მშვიდობის საკითხებში გადამწყვეტი სიტყვა დღეს ხალხებს ეკუთვნის. მათ შეუძლიათ მთელი ხმით გამოთქვან და კიდევაც უნდა გამოთქვან თავიანთი მოთხოვნები, რომლებიც მიმართულია საყოველთაო და სრული კონტროლდაქვემდებარებული განიარაღების განხორციელებისაკენ, მოსთხოვონ მთავრობებს საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრა და ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც შესაძლებლობას მისცემდა ადამიანებს იცხოვრონ ისე, რომ არ ჰქონდეთ ხვალინდელი დღის შიში.

ალბათ, დასავლეთ გერმანიის 820 მოქალაქეს შორის, რომლებმაც მემორანდუმით მიმართეს ოთხი სახელმწიფოს მთავრობებს, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური რწმენის ადამიანები არიან. მაგრამ ისინი გაერთიანა მტკიცე მშვიდობისათვის, ურთიერთგაგებისათვის ბრძოლის დიადმა იდეამ. ეს დიდად და დიდად მნიშვნელოვანია. მტკიცე მშვიდობა ოცნებიდან რეალობად რომ იქცეს, იგი უნდა მოვიპოვოთ, მისთვის შეუპოვრად და მტკიცედ უნდა ვიბრძოდეთ. ეს ბრძოლა ოღლი არ არის და იგი კეთილი ნების ყველა ადამიანის ღონისძიებათა გაერთიანებას მოითხოვს.

თქვენ მოუწოდებთ სსრ კავშირის მთავრობას არ შეასუსტოს ღონისძიებანი საყოველთაო კონტროლდაქვემდებარებული განიარაღებისათვის და სხვა იმ უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლაში, რომლებიც კაცობრიობას აღელვებს.

შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ საბჭოთა მთავრობას არა აქვს და

ნიურნბერგ-ფიურტის რაიონის (გფრ) მოქალაქეთა მემორანდუმი ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე

მის აღმატებულებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრემიერ-მინისტრს ნიკიტა ს. ხრუშჩოვს

მოსკოვი

თქვენო აღმატებულებავ!

იმ ფაქტის გამო, რომ ჩვენი გათიშული სამშობლოს პრობლემა მსოფლიო პოლიტიკის ცენტრშია და ამიტომ ალბათ დიდ ადგილს დაიკავებს თქვენს პარიზის მოლაპარაკებაში, თავს ნებას მივცემთ მოგმართოთ თქვენ ღრმა შეშფოთებითა და ამავე დროს დიდი იმედით.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი მოქალაქენი ნიურნბერგ-ფიურტის საქალაქო ადმინისტრაციისა, ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის ოკუპაციის ზონებიდან ვართ, ჩვენ ბევრი ომი ვიხილეთ, ბევრი ომი ვიხილეთ, ბევრ ომს ვიხილეთ, ბევრ ომს ვიხილეთ, ბევრ ომს

გ. კარტოზია

გ. ნიკიტინი

ვ. უგრეხელიძე

ვ. რუბაშვილი

სპორტი—საყოველთაო-სახალხო საქმე

საამქროებიდან მოედნებზე საასპარეზოდ

რომის ოლიმპიური საგზურებით

გზა მშვიდობისა, ოლიმპიელებო!

აი ისინი, საქართველოს წარგზავნილები

რომი... „ოლიმპიური სოფელი"... მეგობრობისა და მშვიდობის გრანდიოზული შეხვედრები... აი, რით სუნთქავს დღეს სპორტული სამყარო. და მართლაც რაოდენ წარმტაცი, მიმზიდველი და საინტერესო იქნება ტიტანთა შერკინება იტალიის დედაქალაქში, მის ახალ, ასიათასიან ოლიმპიურ სტადიონზე, სპორტის სასახლეში, საცურავ აუზში, ველოტრეკზე, კორტებზე...

როცა რომის მომავალ ბრძოლებზე, საბჭოთა სპორტსმენებზე ვფიქრობთ, არ შეიძლება არ გაგიხსენოთ ჰელსინკი, მელბურნი, საბჭოთა სპორტის ტრიუმფი, ბრწყინვალე გამარჯვებები. ახლა არავის აღარ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები ოლიმპიური ასპარეზობის ტონის მიმცემი, მებაიირატრენი არიან.

37 ოქროს, 29 ვერცხლის, 32 ბრინჯაოს ოლიმპიური მედალი — აი საბჭოთა სპორტსმენების ნადავლი XVI ოლიმპიადაზე მელბურნში. და რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ მედლებიდან 8 საქართველოს წარგზავნილს ეკუთვნის. ესენი იყვნენ გ. კარტოზია, მ. ცალქალამანიძე, ვ. ბალავაძე, გ. სხირტლაძე, რ. ძნელაძე, ნ. დვალიშვილი, ბ. ნიკიტინი, ნ. გვახარია.

თუ გადავავლებთ თვალს ოლიმპიელთა რიგებს, მათ არაერთი ქართველი სპორტსმენი ამშვენებს. მათი რიცხვი გაცილებით იმაზე მეტია, ვიდრე გასულ ოლიმპიადაზე, ხოლო სპორტული მომზადება, ფორმა — საქები.

რომის მშრომელები ნახავენ კარტოზიას, სხირტლაძეს, რუბაშვილი ხად ქორიძის შეუპოვარ ბრძოლას ხალიჩაზე კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, წყალბურთელების გოგოლაძისა და ჩიქვანაიას ოსტატობას საცურავ აუზში, ნიკიტინის შესანიშნავ ფინიშს ცურვაში, მინაშვილისა და უგრეხელიძის ვირტუოზობას კალათბურთის მატჩებში.

ამ სურათებზე ვხედავთ საქართველოს ოლიმპიელთა ერთ ჯგუფს, ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს — გ. კარტოზიას, ბ. ნიკიტინს, ვ. უგრეხელიძეს, ვ. რუბაშვილს.

გზა მშვიდობისა, ოლიმპიელებო! თქვენი გამარჯვება რომში ფიზკულტურელის საკავშირო დღის ღირსეული საჩუქარი იქნება.

ერთი ქარხნის სპორტსმენები

ერთელ ნათელ საამქროში გამაყრუებლად ხმაურობენ ჩარხები, ბუმბულივით მსუბუქად ამწეები მიაქანებენ მრავალტონიანი ჩარხის ნაწილებს, საითაც უნდა გაიხედო, ყველგან შემოქმედებითი შრომის ცეცხლი ანთია. ოქროსხელებიან გმირებს უწოდებენ თბილისელები აქ მომუშავე მამაც ადამიანებს.

ასეც არის: კიროველები თავდადებულად იბრძვიან შვიდწლედის დავალებათა ვადაზე ადრე და პირნათლად შესრულებისათვის. ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში არ ნახავთ თბილისურ ჩარხებს, აქედან და ადიდებენ მათ ურალში, ლენინგრადში, შორეულ ზღვისპირეთში...

თბილისურ შესანიშნავ ჩარხებს ჩვეულებრივი რიგითი საბჭოთა ადამიანები ქმნიან. მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია დედასამშობლოს, — ასეთია მათი დევიზი. და მართლაც აქ ყოველთვიურად ზრდიან, ამრავლებენ გამარჯვებებს.

— ამ კეთილშობილურ საქმეში, — თქვა კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო ქარხნის დირექტორის მოადგილემ, ფიზკულტურისა და სპორტის საბჭოს თავმჯდომარე რ. ულენტმა, — მისაბაძი, სამაგალითოა სიცოცხლით სავსე მრავალი ათეული ფიზკულტურელი ქალიშვილისა და ჭაბუკის მუშაობა.

კიროველთა სიყვარული და პატივისცემა გამრჯე შრომით დაიმსახურა ოსტატმა ავთანდილ ბრეგვაძემ, ის პირველი მექანიკური საამქროს ცვლის ხელმძღვანელია.

როცა ავთანდილს საამქროს ჩამორჩენილ უბანს აბარებდნენ, ზოგიერთმა გულცივად წაილაპარაკა:

— ვერ შეძლებს, ფეხბურთი უყვარს, ხშირად მოედანზე დათარეშობს, არ გამოდგება!

ეს სიტყვები ავთანდილსაც ჩაწვეთეს. ჭაბუკმა გააორკეცა შრომითი აქტივობა, საერთო-სახალხო საქმისადმი დამოკიდებულების საუცხოო მაგალითი უჩვენა მეგობრებს, თანამოსაქმეებს. მალე მან ჩამორჩენილი ცვლა მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. შრომისმოყვარე ახალგაზრდა მთელი დღე ჩარხებთან ტრიალებს. ჯერ არ ყოფილა ისეთი თვე, რომ მის ცვლას გეგმა გადაჭარბებით არ შეესრულებინოს. გამოშვებული პროდუქციის ხარისხი ხომ ყოველთვის სანიმუშოა!

ავთანდილ ბრეგვაძე პირველი საამქროს ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანია. გუნდი საქარხნო პირველობის ერთ-ერთი ლიდერია.

საამქროს სახელოვან ოსტატს გვერდს უმშვენებენ შვიდწლედის მოწინავე ადამიანები: პირველთანრიგოსანი ზეინკალი თამაზ ანდრიაძე, ფეხბურთელი მღარავი მიხეილ გოლოვინი და სხვები. ავთანდილ ბრეგვაძის ცვლას კიროველები ფიზკულტურელთა ცვლას ეძახიან.

აქ ფიზკულტურელი წარმოების ნამდვილი ნოვატორია. ზეინკალი სოსო ზაქარეიშვილი, ხარატი ჯუმბერ კალანდაძე და სხვ. დაზგასთანაც მისაბაძი და სპორტშიც უძლიერესი არიან.

ასეთები ქარხანაში მრავალია.

სიხარული გულმა ვეღარ დაიტია, სიხარულს ხომ როგორც ფრინველს, სივრცე სჭირდებაო. და აი სტადიონის ყველა კუთხიდან გულშემატკივართა მქუხარე ოვაციამ, შეძახილებმა იფეთქა:

— ღირსეულებს პირველობა!

— ვაშა, ბიჭებო!

ხაზარმოო შრომაში სახელმოხვეჭილმა კიროველებმა ამას წინათ სპორტშიც წარმატებას მიაღწიეს: ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის პირველობა დაიმკვიდრეს, გარდამავალი თასი დაისაკუთრეს.

ქარხნის მძლეოსნებმა უფრო მეტად ისახელეს თავი. საქართველოს ჩემპიონები გახდნენ, ამავამად ისინი საკავშირო პირველობაში მონაწილეობისათვის ქალაქ როსტოვში გაეშგზავნენ.

ხელბურთელებიც რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ. ღღეს კი ზონალური შეჯიბრების მონაწილენი არიან და ქალაქ ერევანში იმყოფებიან.

მოშრომალი ხეივნებს შორის საუცხოო საცურავი აუზის მახლობლად ახალგაზრდა ზეინკალი ესტატე უხურგულაშვილი ვნახეთ. მან სულ რამოდენიმე წუთის წინ დატოვა საჭიდაო დარბაზი, დასასვენებლად აქ მოვიდა. ესტატე ხალისით შეხცქეროდა მზით გარუჯულ მცურავ მეგობრებს.

— ნერვები აღარ მემორჩილება, რატომ უნდა ჩამოვრჩენოდით პირველებს ერთი ქულით, ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია...

— რესპუბლიკის მასშტაბით ცურვაში მეორე ადგილი განა ცუდია? — ჰკითხა გვერდით მჯდომმა გოგონამ.

— კარგია, მაგრამ... — წაილაპარაკა ესტატემ და დადუმდა, შეკრთა, არავინ დაგვძახოს. მოვიდავეები რატომ მესამე ადგილზე ხართო — სამართლიანი თვითკრიტიკის გრძნობამ გაკაწრა გული.

ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი დღითიდღე იზრდება. ამჟამად მის რიგებში 1.200 ქალიშვილი და ჭაბუკია. სპორტულ სკოლებში ამ საწარმოს 180-მდე მუშა-მოსამსახურის შვილია ჩაბმული. ახალგაზრდებს არც ხანში შესულები ჩამორჩებიან.

მათ შორის აღსანიშნავია სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი პროფკავშირების ხაზით სროლაში კ. პროზოროვი.

— ის, რაც ჩვენთან გაკეთდა ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობის დარგში, ცოტაა, — გვითხრა ქარხნის მოწინავე კონსტრუქტორმა, ფეხბურთელმა კ. მაისურაძემ, — ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი ერთიანად გაიზარდოს, სპორტის ყველა სახეობაში მოწინავე გახდეს.

კიროველთა სიტყვა მტკიცეა!

ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე ჩარხმშენებელი ფიზკულტურელები ურყევი შემოქმედებითი კანონით ცხოვრობენ: დღეს უკეთ იმუშაონ, ვიდრე გუშინ, ხვალ კი დღევანდელზე უკეთ!

ა. გოცირიძე.

სურათზე: კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშა-სპორტსმენები ვარჯიშის შემდეგ საუბრობენ მწვრთნელთან გ. ნიორაძესთან.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ტრავერსი დაიწყო

გზა ლენინის პიკისაკენ

როგორც ვიუწყებოდით, 5 ივლისს თბილისიდან პამირზე ლენინის პიკის რაიონში სასიმაღლო სარეკორდო ტრავერსის ჩასატარებლად გაემგზავრა საქართველოს ალპინისტთა დიდი ჯგუფი სპორტის ოსტატ ლ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით. ჯგუფის შემადგენლობაში არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები ბ. ხერგიანი, ჭ. ჩართოლანი, სპორტის ოსტატები ჯ. მეძმარიაშვილი, ი. გაბლიანი, დ. გუგავა, თ. კუხიანიძე, ნ. გუგავა და სხვ.

ალპინისტებმა ტრავერსის დაწყების წინ ადგილზე დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს და 12 აგვისტოს დაიწყეს ლენინის პიკის იერიში.

აი რას გვატყობინებს ჩვენი კორესპონდენტი:

ოში. 12 აგვისტო. 20 დღის გაწყვეტელმა მოსამზადებელმა მუშაობამ, კარგმა ამინდმა ქართველ ალპინისტებს, რომლებმაც საგულდაგულოდ შეისწავლეს და მოამზადეს ტრავერსის ტრასა ზულუმართისა და ივიერზალის ქედებზე, საუფალება მისცა დროულად დაეწყოთ სასიმაღლო სარეკორდო ტრავერსი პამირზე ლენინის პიკის მიდამოებში, პირველ რიგში მოიპარიშეთა ჯგუფის ყურადღების ცენტრშია საიუბილეო ასვლა ლენინის პიკზე, რომლის სიმაღლე 7.134 მეტრია. ალპინისტები სწრაფად მიიწევენ წინ.

ა. კალაგეგიშვილი,
ექსპედიციის უფროსის მოადგილე.

მოსკოვში გაიხსნა უნგრეთის სამრეწველო გამოფენა

12 აგვისტოს მოსკოვში, მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე გაიხსნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სამრეწველო გამოფენა.

გახსნაზე შეიკრიბნენ საბჭოთა დედაქალაქის მშრომელების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სახელმწიფო მოღვაწეები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის ფერენც მიუნიხის მეთაურობით და საბჭოთა ხელმძღვანელებს ამხანაგებს ა. ბ. არისტოვს, ლ. ი. ბრეჟნევს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიქოიანს, მ. ა. სუსლოვს.

შეკრებილთ მოკლე შესავალი სიტყვით მიმართა სრულიად საკავშირო საკავშირო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ვ. ნესტეროვმა. შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პირველ მოადგილემ ა. ი. მიკოიანმა, ... ფერენც მიუნიხმა.

ფ. მიუნიხმა გადაჭრა ლენტი და დამსწრენი მიიწვია დაეთვალიერებინათ გამოფენის ექსპონატები.

უნგრეთის სამრეწველო გამოფენა მოსკოვში არის ყველაზე დიდი გამოფენა, რომელიც უნგრეთის ოდესმე გაუმართავს საზღვარგარეთ. მრავალრიცხოვანი ექსპონატები მოგვითხრობენ უნგრეთის სწრაფ ეკონომიურ განვითარებაზე, დამთვალიერებლებს აცნობენ უნგრეთის სახალხო მრეწველობის ყველა დარგს. გამოფენას უკავია 19 ათასი კვადრატული მეტრი ტერიტორია. მძიმე მრეწველობის პროდუქციის ნიმუშებთან ერთად გამოფენილია მსუბუქი მრეწველობისა და სახალხო ხელოსნობის მრავალი ნიმუში. (საკდესი).

ელიზაბეტ გერლი ფლინის იუბილე

1960 წლის 8 აგვისტოს საბჭოთა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ამერიკელი ხალხის გამოჩენილი შვილის ელიზაბეტ გერლი ფლინის დაბადების 70 წლისთავი. იგი საბჭოთა ქვეყნაში იმყოფება საბჭოთა ქალების კომიტეტის მოწვევით.

ამხ. ელიზაბეტ ფლინის პატივსაცემად გამართულ სადილზე, რომელიც მოაწყეს საბჭოთა ქალების კომიტეტმა და ქალაქ მოსკოვის სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ო. ვ. კუუსინენი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. ბ. ნ. პონომარიოვი, ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი ამხ. უილიამ პატერსონი, გაზეთ „უორკერის" რედაქტორი ამხ. ჯოზეფ ნორტი, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. გ. დ. ობიჩკინი, რევოლუციის მუზეუმის დირექტორის მოადგილე ამხ. მ. ს. რუტისი, პარტიის უძველესი წევრები ამხანაგები კ. ა. ოსტროუხოვა და რ. ს. ლიხაჩოვა, საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლ. ი. პეტროვა და კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ზ. ტ. ფეოდოროვა და საზოგადოებრივობის სხვა წარმომადგენელნი.

საბჭოთა და ამერიკელი ამხანაგები მხურვალედ მიესალმნენ იუბილარს, მიართვეს სამახსოვრო საჩუქრები და ყვავილები, ამხ. ელიზაბეტ ფლინმა, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ, საპასუხო სიტყვა წარმოთქვა. (საკდესი).

აღმოსავლეთმცოდნეთა საერთაშორისო კონგრესი

ისტორიისა და თანამედროვეობის მეცნიერული პრობლემები

ბევრი ამ ქვეყნის მეცნიერთა შორის, რომლებიც წარმოდგენილი არიან აღმოსავლეთის მცოდნეთა საერთაშორისო კონგრესზე მოსკოვში, ცხოველ ინტერესს იჩენენ აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ისტორიისა და თანამედროვეობის პრობლემები, რომლებსაც აქ განიხილავენ. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობენ შემოქმედებითი დისკუსიები კონგრესის ოც სექციაში, რომლებსაც ყოველთვის მრავალი მონაწილე ესწრება.

საბჭოთა აღმოსავლეთის მცოდნეების მოხსენებებში, რომლებიც კონგრესზე მოისმინეს, აისახა აღმოსავლეთის ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემა. არაბთა ქვეყნების ისტორიის სექციის სხდომაზე ინტერესი გამოიწვია ნ. ს. ლუცკაიას (მოსკოვი) მოხსენებამ „რიფის რესპუბლიკის შინაგანი წყობილების საკითხისათვის". პირველი საბჭოთა ავტორი, რომელმაც გამოიკვლია მაროკოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რასაც რიფის რესპუბლიკის შექმნა მოჰყვა, იყო მბეჭედ ვასილის ძე ფრუნზე. მას ეკუთვნის ცნობილი წიგნი „ევროპის ცივილიზაციები და მაროკო". ნ. ს. ლუცკაია შემდგომ განავითარებს ამ შრომის დებულებებს.

იმავე სექციის სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო არაბული ხელნაწერების დაცვისა და პუბლიკაციის საკითხებს. მარტო ეგვიპტეშია ხამ მილიონამდე არაბული ხელნაწერი. მოხსენებათა ამ ჯგუფის ცენტრში იყო მუჰამედ ალ-ფასის (მაროკო) გამოსვლა. მან ილაპარაკა მაროკოს ხელნაწერთა გამოვლინებისა და დაცვის საკითხებზე. ინტერესი გამოიწვიეს აგრეთვე პოლონელი არაბისტის ტადეუშ ლევიცისა და კლოდ კაენის (პარიზი) მოხსენებებმა.

11 აგვისტოს არაბული ფილოლოგიის სექციის სხდომაზე საბჭოთა მეცნიერმა მ. ს. საიდოვმა, რომელიც მეთაურობს აღმოსავლეთის ხელნაწერთა ინსტიტუტს მაჰაჩყალაში, არაბულ ენაზე გაკეთა XVIII-XIX საუკუნეთა დადესტნური ლიტერატურის მიმოხილვა. დისკუსია გაჩაღდა აგრეთვე ვ. ი. ბელიაევის (ლენინგრადი) მოხსენების გამო „აბასიდთა პეროიდის დასაწყისში არაბული პოეზიის ძირითადი ნიშნები" (VIII საუკუნე — II საუკუნის ნახევარი).

ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი სექციაა ჩინეთის მცოდნეობის სექცია. მის სხდომებზე მოისმენენ დასახლოებით ხამოც მოხსენებას. უკვე მოისმინეს მოხსენებანი: ლ. ვ. სიმონოვსკაიასი (მოსკოვი) „ორი ტენდენცია გვიანი დროის ჩინეთის ფეოდალურ საზოგადოებაში", პოლ დემიევილისა (პარიზი) „სანსკრიტული ენაზე ჩინური ლიტერატურის ისტორიული შენიშვნები" და სხვები. ი. მ. ოშანინმა (მოსკოვი) დამსწრეთ გაუზიარა „დიდ ჩინურ-რუსულ ლექსიკონზე" საბჭოთა მეცნიერების მუშაობის გამოცდილება. მომხსენებელმა სექციის განსახილველად წარადგინა ლექსიკონის ერთ-ერთი განყოფილების მაკეტი. სხდომის მონაწილეებმა თავიანთი შენიშვნები შეიტანეს მაკეტში ლ მთლიანად დიდი შეფასება მისცეს მის შემდგენელთა შრომას. 11 აგვისტოს აზრთა ცოცხალი გაზიარება გამოიწვია ვ. ბ. ილიუშჩენკის (მოსკოვი) მოხსენებამ „ტაიპინების აგრარული პოლიტიკა".

12 აგვისტოს კონგრესი მუშაობას განაგრძობდა. (საკდესი).

სიჭაგუკის, ძლიერების და სილამაზის ზეიმი

ღღეს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს ტრადიციულ ღღესასწაულს—ფიზკულტურელის საკავშირო ღღეს, სიჭაბუკის, ძლიერების და სილამაზის ღღესასწაულს.

დიადი ამოცანები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ შვიდწლედისათვის დაგვისახა, ახალ ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი კიდევ უფრო მასობრივი და საერთო-სახალხო საქმე გახდეს.

ფიზიკური კულტურისა და სპორტისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ზრუნვის ახალი მკაფიო გამოვლინებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 იანვრის დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელობის შესახებ".

1959 წელს შექმნილმა სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირებმა, რომლებიც მუშაობენ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და პროფკავშირებისა და კომკავშირის აქტიური მონაწილეობით, ეყრდნობიან რა თავიანთ საქმიანობაში ფართო სპორტულ საზოგადოებრიობას, დიდი მუშაობა გასწიეს სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის მოსამზადებლად და ჩასატარებლად, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების მიღწევათა და წარმატებათა დათვალიერებას წარმოადგენდა.

დიდი ცვლილებები მოხდა ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ცხოვრებაშიც.

მიმდინარე წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში ითვლებოდა 5.946 კოლექტივი, რომლებიც აერთიანებენ ნახევარ მილიონ ფიზკულტურელს, ე. ი. 104 ათასით მეტს, ვიდრე 1958 წლის დამდეგისათვის იყო.

თუ სსრ კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის წინა სამ წელიწადში ჩვენში მომზადებულ იქნა მშთ I საფეხურის 122 ათასი ნიშნოსანი და მშთ II საფეხურის 30 ათასი ნიშნოსანი, მომდევნო სამ წელიწადში მშთ I საფეხურის ნიშნოსანი მომზადებულ იქნა 30 ათასით მეტი, ხოლო მშთ II საფეხურის ნიშნოსანი 13 ათასით მეტი.

განსაკუთრებით დამახასიათებელია თანრიგოსან სპორტსმენთა და პირველ რიგში სპორტის ოსტატთა მომზადება. თუ სსრ კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის წინა სამ წელიწადში მომზადებულ იქნა სულ 145 ოსტატი, სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის წინ იმავე ხნის განმავლობაში სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა 400 სპორტსმენმა, ე. ი. 255-ით მეტმა. პირველ თანრიგში ეს განსხვავება გამოიხატება 1.373 სპორტსმენით, მეორე თანრიგში — 4.946, მესამე თანრიგში — 19 ათასზე მეტი და ჭაბუკთა თანრიგში — 7,5 ათასამდე კაცით.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას ჩვენს წინაშე შვიდწლედში: 1965 წლის დამლევისათვის ფიზკულტურელთა რიცხვი რესპუბლიკაში აყვანილ უნდა იქნას 895 ათასამდე, მომზადებული უნდა იქნას 1.280 ახალი სპორტის ოსტატი, 11.530 პირველთანრიგოსანი და II, III და ჭაბუკთა თანრიგების 400 ათასამდე სპორტსმენი. სპორტსმენთა ასეთი რაზმისათვის საჭირო იქნება ბევრი საზოგადოებრივი მუშაკი. ამ წლების განმავლობაში ჩვენ მოვამზადებთ 40 ათასამდე საზოგადოებრივ ინსტრუქტორსა და მსაჯს.

გასული წელი შეიძლება წარმატების წლად ჩაითვალოს რესპუბლიკის სპორტსმენებისა და ფიზკულტურული ორგანიზაციებისათვის. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარებისა და კვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადების დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირი რსფსრ, უკრაინისა და ესტონეთის ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან ერთად დაჯილდოებულია გარდამავალი წითელი დროშით.

ფიზკულტურის მოწინავე კოლექტივთა შორის, რომლებიც მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელებით, ვხვდებით ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის, კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს", თბილისის საელექტრო დეპოს, № 1 რკინიგზის სასწავლებლის, № 11 ბოდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კალათბურთელებსა და ტანმოვარჯიშეებს, რუმინეთის, ბულგარეთის, ჰოლონეთის, უნგრეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებს, შვეიცარიის მოკრივეებს, რუმინეთის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, უნგრეთის მოჭიდავეებს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, უნგრეთის წყალბურთელებს, ბულგარეთის ჩოგბურთელებს, შვეიცარიის, ბულგარეთის, საფრანგეთის, დანიის, უნგრეთის, ბელგიის, სირიის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, ლუქსემბურგის, ჰოლანდიის ფეხბურთელებს.

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში წარმატებას მიაღწია თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდმა. პირველად მონაწილეობდნენ რა ესოდენ რთულ პირობებში, დინამოელებმა გაიმარჯვეს რუმინეთის, პოლონეთის, ბულგარეთის ჩემპიონებზე და ფინალში გავიდნენ.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრი სპორტსმენი წარმატებით გამოვიდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობებში უდიდეს საერთაშორისო შეხვედრებში. მათგან საუკეთესოებს — მოჭიდავეებს გ. კარტოზიას, ა. ქორიძეს, გ. სხირტლაძეს, ვ. რუბაშვილს, კალათბურთელებს გ. მირაშვილს, ვ. უგრეხელიძეს, წყალბურთელებს გ. ჩიქვანაიას, ლ. გოგოლაძეს, მცურავ ბ. ნიკიტინს, მძლეოსნებს ო. შავლაყაძეს, ლ. ივლევლევს, ა. შჩერბინას, მოფარიკავე გ. კოსტავას, მსროლელ ვ. სალუქვაძეს პატივი ხვდათ დაიცვან საბჭოთა სპორტის ინტერესები XVII ოლიმპიურ ასპარეზობაზე რომში.

მარტო 1960 წლის განვლილ თვეებში სსრ კავშირის ჩემპიონის მაღალი წოდება მოიპოვეს ჩვენმა მოჭიდავეებმა მ. ღუდუშაურმა, დ. გვანცელაძემ, რ. ამირეჯიბმ, გ. სხირტლაძემ, ო. კანდელაკმა, მცურავმა ბ. ნიკიტინმა, შტანგისტმა რ. ჩიმიშკიანმა.

რესპუბლიკაში მუშაობს დიდი ჯგუფი გამოცდილი, თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტი მწვრთნელებისა, როგორიც არიან გ. ავალიშვილი, ლ. ძეკონსკი (კალათბურთი), გ. ილურიძე, პ. ოორდანიშვილი (ჭიდაობა), ვ. ყიფიანი (ნიჩბოსნობა), ე. გოკელი, ბ. დიაჩკოვი (მძლეოსნობა), ა. მეიფარიანი (ფარიკაობა) და ბევრი სხვა.

რესპუბლიკის სკოლებში სპორტული მუშაობის შემდგომი ზრდა ცხადყო ახლახან დამთავრებულმა მოსწავლეთა XII სპარტაკიადამ. ეს მასობრივი შეჯიბრება სკოლებში დაიწყო და მასში მონაწილეობა მიიღო 200 ათასამდე მოსწავლემ. მარტო ფინალში მონაწილეობდა 3.700 ნორჩი სპორტსმენი, სპარტაკიადაზე ნაჩვენები სპორტის ოსტატის 4 შედეგი, I თანრიგის—40, II თანრიგის—270 შედეგი, დამყარებულია 2 რესპუბლიკური და 36 საქალაქო რეკორდი.

როგორც ცნობილია, სპორტის მასობრიობის და სპორტსმენთა დაოსტატების შემდგომი ზრდა ბევრად არის დამოკიდებული უმარტივესი ტიპის სასპორტო ნაგებობათა და განსაკუთრებით კეთილმოწყობილი სასპორტო ბაზების არსებობაზე. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში წლითიწლობით სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სასპორტო მოედნებისა და ნაგებობების მშენებლობა.

მაგალითად, თბილისში დიდი მუშაობა წარმოებს უდიდესი სადეპონსტრაციო სასპორტო დარბაზის, დახურული 50-მეტრიანი საცურავი აუზის და სხვა კომპლექსურ სასპორტო ნაგებობათა აშენებლობაზე.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა განკარგულებაშია 78 სტადიონი, 998 ფეხბურთის მოედანი, 23 საზაფხულო საცურავი აუზი, 130 ჩოგბურთის კორტი, 1.143 კალათბურთისა და 3.279 ფრენბურთის მოედანი, 289 სასპორტო დარბაზი და ასობით სხვა სასპორტო ნაგებობა.

ახალ სასპორტო ნაგებობათა მშენებლობისათვის შეჯიბრების გაძლაში დიდი როლი შეასრულა ჩოხატაურისა და კასპის რაიონების ახალგაზრდობის ინიციატივამ, რომელსაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი ჩვენი რესპუბლიკის მეტ წილ რაიონებში. თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, საწარმოში იქმნიონ სასპორტო მოედნები და ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეში ჩაბმან მთელი შრომისუნარიანი ახალგაზრდობა — აი მთავარი ამოცანა, რომელიც ჩოხატაურელებმა და კასპელებმა დასახეს.

მათი ინიციატივის ნაყოფმა დაუყოვნებლივ იჩინა თავი. მაგალითად, ჩოხატაურში რაიონულ ცენტრში უკვე დამთავრდა სტადიონ-იპოდრომის მშენებლობა, გრძელდება მუშაობა ყოველ სოფელსა და რაიონში ახალი სასპორტო მოედნებისა და ნაგებობების მშენებლობისათვის.

სწორი არ იქნებოდა, რომ ამ საერთო მიღწევებთან ერთად არ აღგვენიშნა ის ნაკლოვანებანი, რომლებიც საქართველოს სპორტულ ორგანიზაციებს, ფიზკულტურულ კოლექტივებს აქვთ.

ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის სათანადოდ გაშლაში. პირველ რიგში ეს ითქმის ახალგაზრდობის უმრავლესობის ჩაბმაზე ფიზკულტურულ კოლექტივებში და სპორტულ სექციებში, უფროსი ასაკის მშრომელთა ფიზიკური კულტურით დაინტერესებაში, საწარმოო ტანვარჯიშის გაუმჯობესებაში.

ჩამოვრჩებით სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიც არის მძლეოსნობა, ველოსპორტი, ნიჩბოსნობა, ცხენოსნობა, ფრენბურთი.

დასახულია ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. აღნიშნავენ რა თავიანთ დღესასწაულს, საქართველოს ფიზკულტურელები უპატაკებენ სამშობლოს, ხალხს თანრიგოსანთა და სპორტსმენთა მომზადების წლიური გეგმის შესრულებას, ათობით და ასობით ახალი სასპორტო ნაგებობის აშენებას, რომლებიც აგებულია თვით სპორტსმენთა ძალებით. დღითიდღე უმჯობესდება მუშაობის პირობები ჩვენი ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისათვის. ეს მომავალ ახალ წარმატებათა კარგი წინაპირობაა.

გ. სიხარულიძე,
საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარე.

„ყველაფერი როდი მიმდინარეობდა უმჯობესად“

მაკმილანისა და ადენაუერის მოლაპარაკება

ბონი, 11 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი იუწყება: დღეს აქ დამთავრდა დასავლეთ გერმანიის კანცლერის ადენაუერის ორი დღის მოლაპარაკება ინგლისის პრემიერ-მინისტრ მაკმილანთან. მოლაპარაკებას უაღრესად საიდუმლო ხასიათი ჰქონდა.

მოლაპარაკების დასასრულს გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია მხოლოდ ის, რომ „განხილულ იქნა ყველა დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ორივე ქვეყნის ინტერესებს ეხება“, და რომ „ამ ბოლო დროს საერთაშორისო მდგომარეობის განვითარება საჭიროდ ხდის თავისუფალი სამყაროს მჭიდრო თანამშრომლობას. ორივე მთავრობა აღიარებს, რომ საჭიროა გამონახოს იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც ევროპაში ორი ეკონომიური დაჯგუფების არსებობიდან გამომდინარეობენ“.

აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ეცნობებინათ რაიმე დეტალი დამთავრებული მოლაპარაკების შესახებ. მიუხედავად ამისა, როგორც აქ აღნიშნავენ, მაკმილანისა და ადენაუერის მოლაპარაკებაში „ყველაფერი როდი მიმდინარეობდა უმჯობესულოდ“. დამახასიათებელია, რომ პრეს-კონფერენციაზე ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა არ უპასუხეს კითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს ინგლისის პრემიერ-მინისტრი ადენაუერისა და გენერალ დე გოლის ამასწინანდელი შეხვედრის შედეგებს. იმ ფაქტს, რომ მაკმილანი უნიუზიზმოდ ეკიდება ბონისა და პარიზის გეგმებს, დღეს ადასტურებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან დაახლოებული გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე“. ეხება რა მაკმილანის განცხადებებს ბონში მისი ყოფნის დროს, გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ლონდონს არ სურს მონაწილეობა მიიღოს რომბუიეს (სასახლე, სადაც მიმდინარეობდა დე გოლისა და ადენაუერის ამასწინანდელი მოლაპარაკება) გეგმებში“.

ადენაუერის მოლაპარაკებაში მაკმილანთან აშკარად ვერ მოხერხდა აგრეთვე დასავლეთ ევროპაში ორ ეკონომიურ ბლოკს შორის არსებულ მწვავე უთანხმოებათა და წინააღმდეგობათა დაძლევა. ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან დაახლოებული მეორე გაზეთი „გენერალ-ანეიგერი“ დღეს დიდ მწუხარებას გამოთქვამს, რომ „მოსალოდნელია სავაჭრო ომის დაწყება ევროპის ორივე ეკონომიურ ბლოკს — ეეს-სა და ეასტ-ს შორის. ამ ომს, შეიძლება საბედისწერო შედეგი მოჰყვეს აგრეთვე პოლიტიკური თანამშრომლობისთვის“ (დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა. — საკდესი სს. კორ. შენიშვნა). შემთხვევითი როდია, რომ პრეს-კონფერენციაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელმა მტაფ ბუნდოვნად განაცხადა, რომ „ეეს-ეასტ-ის პრობლემა უნდა დაისვას მსოფლიო პოლიტიკის საერთო ჩარჩოებში“. მან აღნიშნა შემდეგ, რომ ბერლინის საკითხს შეეხნენ „მხოლოდ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობის განხილვასთან დაკავშირებით“, არც კომუნიკეში, არც პრეს-კონფერენციაზე არაფერი არ ყოფილა ნათქვამი სამხედრო საკითხებზე. მაგრამ აქ არავის ეპკი არ ეპარება, რომ ეს საკითხები, ძირძოდ ნატოს საკითხი, გულდასმით იქნა განხილული მოლაპარაკების მსვლელობაში. როგორც ზაზგასმით აღინიშნავენ, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამასთან ამერიკის შეერთებული შტატების გეგმებს, რომლებიც ითვალისწინებენ ნატოს ქვეყნების, და უწინარეს ყოვლისა დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის შეიარაღებას ამერიკული ატომური რაკეტებით „პოლარისით“.

ქუბა. ჰავანაში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია ქუბის მიმართ ამერიკელი იმპერიალისტების აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ. დემონსტრაციის 500 ათასმა მონაწილემ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ქუბის მთავრობის გადაწყვეტილებას. [illegible] შობლო.

სტატისტიკა, დემოწარმტერები ჰავანის ქუჩებში. [illegible] სინტუს საგეტოს ფოტო.

„სიკვდილის საფრთხე“

პარიზი, 11 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ელიზაბეტვილიდან იუწყება:

კატანგის ოპოზიციური პარტიების გაერთიანებამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც პრემიერ-მინისტრ ჩომბეს „დიქტატორს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ ოპოზიციური პარტიების ყველა წევრს ემუქრება „ძალადური სიკვდილის მუდმივი საფრთხე“.

„კატანგას, — ნათქვამია განცხადებაში, — ჩამოეფარა ნამდვილი რკინის ფარდა. ჩვენი პარტიების წევრები ახლა ცხოვრობენ დაპატიმრებისა ან ძალადური სიკვდილის მუდმივი საფრთხის შიშით“.

მთავრობის პარტია „კონკატმა“, წერენ განცხადების ავტორები, „კატანგაში არძიის შექმნის საბაბით იარაღი დაურიგა თავის მომხრეებს. კატანგის მთელ ტერიტორიაზე იქმნება იარაღის საწყობები; იარაღი ეურიგება იმ პირებსაც კი, რომელთაც არც იციან მისი ხმარება“.

ჩვენი სალამი და დახმარება კონგოს!

დელი, 11 აგვისტო. (საკდესი). ბელგიის მთელი ჯარი გაყვანილ უნდა იქნას კონგოდან და რაც შეიძლება მალე, განაცხადა დღეს პრეს-კონფერენციაზე ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ. მან სინანული გამოთქვა ამ ქვეყანაში მომხდარი ამბების გამო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ამბები უმთავრესად გამოწვეულია კონგოში ბელგიის ჯარების ყოფნით.

ინდოეთი, განაგრძო პრემიერ-მინისტრმა, მიესალმება დამოუკიდებელი კონგოს შექმნას და ერთიან სახელმწიფოდ მიიჩნევა იგი.

კაირო, 11 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ალ-აჰრამი“ დღეს აქვეყნებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ნასერის დეპეშას, რომელიც წარმოადგენს პასუხს განის პრეზიდენტ ნკრუმის თხოვნაზე: იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ მიიღებს კონგოს ტერიტორიიდან ბელგიის საოკუპაციო ჯარების გაყვანის ღონისძიებებს, აკრაში გაგზავნოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხედრო მისია აფრიკის ერთობლივი სარდლობის შესაქმნელად, რათა „ლეკვიდირებულ იქნეს კონგოში შექმნილი საშიში კრიზისი“.

„ჩვენ თანახმა ვართ, — ნათქვამია დეპეშაში, — თქვენთან ერთად ვიმოქმედოთ ბელგიის ჯარების წინააღმდეგ, რომლებმაც განსაკუთრებით საშიში მდგომარეობა შექმნეს. ჩვენ აგრეთვე გვთანხმებით იმაში, რომ აფრიკის ყველა ქვეყანამ უნდა მიმართოს ერთობლივ მოქმედებას. ამჟამად მიღებულია ღონისძიებანი, რათა უახლოეს დროში გაიგზავნოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხედრო მისია განაში. არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ უკვე გამოთქვა თავისი დამოკიდებულება კონგოში შექმნილი მდგომარეობისადმი და განაცხადა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ და უსიტყვოდ გაყვანილ იქნან ბელგიის მთელი ჯარები კონგოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან“.

ჰამარშელდი კატანგაში გაფრინდა

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. (საკდესი). როგორც იუწყებიან პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი გადმოგცემს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი დღეს ლეოპოლდვილიდან გაფრინდა კატანგის პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრ ელიზაბეტვილში. მას ახლავს ხუთი თვითმფრინავი, რომლებზეც იმყოფება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შვედური ქვედანაყოფი.

ლონდონი, 11 აგვისტო. (საკდესი). როგორც უცხოეთის საგენტოების ცნობებიდან ჩანს კონგოს პროვინციის კატანგის თვითმარქვია „პრეზიდენტი“ ჩომბე თავისი ბელგიელი ბატონების მითითებით ცდილობს წინადადებაზე საქმე ისე დასვიოს, თითქოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას კონგოს მთელი ტერიტორიიდან ბელგიის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ საველდებულო და საბოლოო ხასიათი არა აქვს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდის დეპეშის პასუხად მან გუშინ განაცხადა, რომ მზად არის „დაიწყოს მოლაპარაკება“ კატანგაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების მომავალი შესვლის „პირობების შესახებ“, თუმცა სავსებით ცხადია, რომ საქმე შეიძლება შეეხებოდეს არა რაიმე „მოლაპარაკებას“, არამედ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების აუცილებელ და დაუყოვნებლივ შესრულებას.

დღეს ჩომბემ არაოფიციალურად გამოთქვა მუქარა და — რეიტერის საგენტოს ცნობით, ჰამარშელდისათვის გაგზავნილ დეპეშაში განაცხადა, რომ ჰამარშელდის განზრახვას ხვალ ჩავიდეს ელიზაბეტვილში შვეიცის ჯარების ორი ასეულის თანხლებით, რომლებიც კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედიან. „შეიძლება სერიოზული შედეგები ექნეს.

ჩომბემ კვლავ მოითხოვა მოლაპარაკება მის მიერ წინათ წამოყენებული მთელი რიგი პირობების საფუძველზე.

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო. (საკდესი). „კატანგა ეშმაკდება გაბდეს თავისუფალი მეწარმეობის ბასტიონი აფრიკაში“, — იწერება პარიზიდან გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ საერთაშორისო და, კერძოდ, საფრანგეთის მონოპოლიები ისწრაფვიან მაქსიმალურად გამოიყენონ შესაძლებლობანი, რომლებიც კონგოს ამბებთან დაკავშირებით შეიქმნა, რათა განამტკიცონ იქ თავიანთი პოზიციები. ვინმე ფრანგმა მოქალაქემ პოლემ, რომელმაც თავისთავს უწოდა „ჩომბეს მთავრობის ეკონომიური მრჩეველი“, განაგრძობს კორესპონდენტი, განაცხადა, რომ ამ დღეებში კატანგაში შეიქმნება „ეროვნული ბანკი“ კონგოს ლეოპოლდვილის ეროვნული ბანკის საწინააღმდეგოდ.

პოლემ თქვა აგრეთვე, რომ შეეცდება „შექმნას ევროპელი მეწარმეებისათვის კატანგაში მრეწველობის ახალი დარგების განვითარების სტიმული“.

ჩომბე ვაჭრობს

შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედიან. „შეიძლება სერიოზული შედეგები ექნეს.

მაკმილანი ლონდონს დაბრუნდა

ლონდონი, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ მაკმილანი ლონდონს დაბრუნდა ბონიდან, სადაც იგი ორ დღეს აწარმოებდა მოლაპარაკებას დასავლეთ გერმანიის კანცლერ ადენაუერთან.

მდგომარეობა ლაოსში

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო. (საკდესი). ლაოსიდან კვლავ მოდის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები ამ პატარა ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ, სადაც 8 აგვისტოს მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. როგორც უცხოელი კორესპონდენტების ცნობებიდან ჩანს, ამჟამად მდგომარეობა ლაოსში ასეთია: ნეიტრალისტ ბუნდუმ ოფიციალურად აცხადებს, რომ ლაოსი ეროვნული ერთიანობისა და ეროვნული ინდიპენდენტობის ერთგული დარჩება. ამ ბანაკის ლიდერ ფუმა ითხოვს, ეროვნული ერთიანობა ეროვნული ინდიპენდენტობის ერთგული

ს. ს. სმირნოვი

უჩვეულო გუშაგი

ჟერჟეროზით ლეგენდა ბრესტი

მწერალი ს. ს. სმირნოვი, ბრესტის ციხე-სიმაგრის მგირთა შესახებ წიგნის ავტორი, აშკარად მუშაობს დოკუმენტური მოთხრობების ახალ წიგნზე სამამულო ომის ცნობილ და ნაკლებადცნობილ გმირთა მამაცობის ასახვაზე. ეს მოთხრობები მათი დაფერის მიხედვით დაიბეჭდება „ოგონიოკის“ ფურცლებზე. დღეგანდელ ნომერში ქვეყნდება ამ მოძაგალი წიგნის პირველი მოთხრობა. დანარჩენებან განსხვავებით იგი არ ეკუთვნის სამამულო ომის პერიოდს, მაგრამ მოგვითხრობს სრულიად არაჩვეულებრივ და თავის მხრივ ერთადერთ შემთხვევაზე. რომ „ოგონიოკის“ მკითხველები დაეხმარებიან ავტორს უცნობი გმირის ძებნაში, ვისზედაც ამ მოთხრობაშია საუბარი.

ბერძენ ხნის ეს ნახევრად ლეგენდარული ამბავი თითქმის ამ ნახევარი საუკუნის წინათ მოხდა. პირველად მასზე ერთმა კაცმა მიამბო ბრესტში, იმ დღეებში, როცა ბრესტის ციხე-სიმაგრის გმირებს დაეძებდი. თუმცა იგი არწმუნებოდა, რომ ეს ლეგენდა კი არა, ნამდვილი შემთხვევა არისო, მაგრამ მაშინ არ დავიჯერე, მისი ნაამბობი მეტისმეტად ფანტასტიკური მეჩვენებოდა.

მაგრამ შემდეგ რამდენიმე კაცმა, სიტყვიერად თუ წერილობით, იგივე ისტორია გადმომცა. მათ ამის შესახებ ყურმოკრეულად იცოდნენ. ზოგს კი თურმე ოციანი წლების საბჭოთა და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებშიც წაეკითხავს ცნობები. ამ შემთხვევაზე. დაბოლოს, დასავლეთ ბელორუსიაში სხვადასხვა დროს შეგხვდი პოლუდნიკის პოლონური არმიის ორ ყოფილ ჯარისკაცს. ისინი იგონებდნენ, რომ სამსახურის დღეებში — იმავე ოციანი წლების შუა ხანებში — ოფიცრები მათ ხმამაღლა უკითხავდნენ ვარშავის გაზეთებს, რომელთა ფურცლებზე უცვლელი გუშაგის გმირობა იყო აღწერილი.

აშკარად ეჭვიც არ მეპარება ამ შემთხვევის სინამდვილეში. იგი ლეგენდარულადაც რჩება, რამდენადაც ჯერ არ შემძლია გმირის გვარის დასახელება ან ნაბეჭდი წყაროს ჩვენება. საჭირო და არაიოლი ძიების ჩატარება კი დღემდე ვერ მოგახერხე და ვერც ახლო მომავალში მოვახერხებ ალბათ. ასეთი მასალის ბლოკნოტში დიდხანს შენახვა კი შეუძლებელად მიმაჩნია.

კიდევ ერთი შენიშვნა. არ შემიძლია იმ ადგილის ზუსტად მითითება, სადაც ეს შემთხვევა მოხდა. უმრავლესობა, ვინც ამაზე მესაუბრა, აცხადებს, რომ ეს ბრესტში იყო, სხვები კი ძველ რუსულ ციხე-სიმაგრეებს ოსოვეცსა და ივანგოროდს ასახელებენ, რომლებიც სახალხო პოლონეთის მიწაზეა. გამოვდიკარ რა ჩვენებათა უმრავლესობიდან, ისე შევუდგები თხრობას, თითქოს ყველაფერი ეს ბრესტში მოხდა, მაგრამ წინასწარ უნდა გავაფრთხილო მკითხველი, რომ შემდგომ გადმოკვლევას შესწორების შეტანა შეუძლია ქვემოაღწერილი შემთხვევის მოქმედების ადგილში.

აი, როგორია ამათი გადმოცემით, ვისაც ეს ახსოვს, უცვლელი გუშაგის საოცარი ისტორია.

პირველი იმპერიალისტური ომის, მეორე წლის 1915 წლის ზაფხული იყო. ივლისის შუა რიცხვებში გერმანიის ჯარებმა შეტევა დაიწყეს აღმოსავლეთის ფრონტზე. მოწინააღმდეგის ძლიერი დაწოლით რუსეთის არმიები უკან იხევდნენ — დატოვებულ იქნა ვარშავა, მის შემდეგ ლუბლინი, ბოლოს და ბოლოს ჩვენი ჯარები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ პოლონეთის აღმოსავლეთი რაიონები. აგვისტოში გერმანელები ქალაქ და ციხე-სიმაგრე ბრესტ-ლიტოვსკს მიუახლოვდნენ.

ბრესტის შენარჩუნება რუსულმა არმიებმა ვერ შეძლეს. მარილია, ბრესტის ციხე-სიმაგრეს იმ დროს უკვე არ ჰქონდა სერიოზული სამხედრო მნიშვნელობა, მაგრამ მასში და მის გარშემო მდებარე ფორტებში, მოთავსებული იყო მრავალი საარმიო საწყობი. ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ იმისათვის, რომ იქ შენახული მარაგი მტერს ხელთ არ ჩავარდნოდა. ცოტა რამესი ზურგში გადმოზიდვა მოასწრეს, დანარჩენი კი, რაც დარჩა, ბრძანებით უნდა აეფეთქებინათ ქალაქის ევაკუაციის დაწყებამდე.

სხვათაშორის გამოუზიდავი დარჩა სადღაც ქალაქის მიდამოებში არსებული დიდი საინტენდანტო საწყობი. იგი ციხე-სიმაგრის ერთ-ერთი ფორტის ახლოს იყო, მიწისქვეშა ღრმა კაზემატებში, სადაც დიდძალი სურსათი, ჯარისკაცის ტანსაცმელი და თეთრეული ინახებოდა.

ამ საწყობს საინტენდანტო სამსახურის ვიღაც პოლკოვნიკი განაგებდა. მიიღო რა ბრძანება მიწისქვეშა კაზემატების მთელი მარაგის აფეთქების შესახებ, მან სარდლობას განუცხადა, ამის გაკეთება საჭირო არ არისო. პოლკოვნიკმა განმარტა, ადგილობრივმა მოსახლეობამ არაფერი არ იცის საწყობის არსებობის შესახებ. საკმარისია თვალის ასახვევად მიწისქვეშა შესასვლელის აფეთქება, რომ მიწისაღმდეგეს დავუმალოთ ამ მდიდარი საწყობის ადგილმდებარეობაო. ხოლო მას შემდეგ, როცა რუსეთის ჯარები კვლავ დაიბრუნებენ ბრესტს, საწყობის შესასვლელი ადვილად გადაითხრება და მისი მარაგის გამოყენებაც შეგვეძლებაო.



აქ აღიმართება სპორტის სასახლე

თბილისში, საბუთრთა ლ ო ს დასაწყისში, ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მონუმენტური შენობის პირდაპირ, ყურადღებას იპყრობს ხარაჩოებში ჩამჯდარი უზარმაზარი ნაგებობა. მის ეზოში ერთი-მეორის „მიყოლებით შემოდიან ავტომანქანები, შემოაქვთ სხვადასხვა ხაშენი მასალა. გიგანტური კოშკურა ამწეები წამდაუწუმ ატრიალებენ ფოლადის ხორთუმებს... აჭ შენდება რესპუბლიკის სიამაყე — სპორტის სასახლე, რომელზეც ყოველდღიურად 500-ზე მეტი კაცი მუშაობს.

— სპორტის სასახლე ათი ათასი მაყურებლისთვის არის ნავარაუდევი.—გვუუბნება მშენებლობის უფროსი გ. თუშიშვილი.—აქ მოეწყობა სპორტული შეჯიბრება კალათბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, კრივში, ჭიდაობაში, აქ გამოვლენ მძლეოსნები, ძალოსნები, მოეწყობა შეჯიბრება ყინულზე და ფიგურული ციკვებიც კი... ერთი სიტყვით, წარმოდგენილი იქნება სპორტის ყველა სახე, გარდა ფეხბურთისა და წყალბურთისა.

შეჯიბრების მონაწილეთათვის გაკეთებულია დასასვენებელი და სავარჯიშო კომფორტაბელური ოთახები, გახახდელები, აბაზანები, შხაპები, ბუფეტი და სხვ.

ეს შენობა იმითაც არის საინტერესო, რომ თავისი რთული კონსტრუქციის გარდა, მას ექნება ორიგინალური სახურავი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციით, გადახურვის პროცესში არ გამოვიყენებთ ხარაჩოებს. ასეთი სახურავი საბჭოთა კავშირში პირველად ბორციელდება, იგი შეიმუშავა ინჟინერმა დ. ქაჯაიამ. გადახურვას სექტემბერში დავიწყებთ. მაყურებელთა დარბაზში ტემპერატურა შენახულია იქნება წლის ყოველ დროსთან. 12 გასასვლელი ხაშუალებას მოგვცემს დარბაზი 5 წუთში განიტვირთოს მაყურებლებისაგან.

მშენებლობაზე წარმატებით მუშაობენ ი. მეხაშიშვილის, კ. გოგნიაშვილის და გ. შახბაზოვის მებეტონეთა ბრიგადები, ი. ვესიოლის მეარმატურეთა ბრიგადა და სხვები.

ახალგაზრდა ინჟინერი გივი გუჯეჯიანი, რომელმაც აქ პირველად ათასთავად დაიწყო მუშაობა, ამბობს:

— ჩვენ ენერგიას არ ვიშურებთ, რომ ეს საჩუქარი თბილისელმა ახალგაზრდობამ მიიღოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისათვის.

ე. მამალაძე.

* * *

სურათზე: სპორტის სასახლის მშენებლობა. მარჯვნიდან მარცხნივ — სამუშაოთა მწარმოებლები ლ. ურუშაძე, გ. გუჯეჯიანი, ა. ხარშილაძე, ი. ლომიძე, ს. ლაბხი, ზ. ოჩიგავა და ჰ. ქემოკლიძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მოგონებანი ომის ამბავზე, ომის ამბავი, ომის ამბავი... ეს ომი ბევრ ადამიანს ბევრ ამბავს ჰყვებოდა. ბევრ ამბავს ჰყვებოდა ეს ომი ბევრ ადამიანს